



სამუშაო შეხვედრა იმერეთის რეგიონში

ქუთაისი, 2015 წლის 14 მარტი

საქართველოს პარლამენტი, აბაშიძის გამზ.26

სესია ხელოვნება

მოდერატორი: ზვიად მჭედლიშვილი, ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

რეპორტიორი: შორენა ციცავი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომელი

მონაწილეები :

ელისო ქაროსანიძე, ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილე
მირანდა კუპრავა, ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების უფროსი
თამთა თურმანიძე, ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი
ნათია ფანცხავა, ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი
მანანა კიკაბიძე, ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი
დალი მარგველაშვილი, ქუთაისის მ. ბალანჩივაძის #1 სამუსიკო სკოლის დირექტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე, ქუთაისის სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის დირექტორი
ია ვერულაშვილი, ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორის მ.შ.
გიორგი ლომთაძე, ქუთაისის ბავშვთა ხელოვნების გალერეის დირექტორი
თამარ ლორთქიფანიძე, ქუთაისის ლ. მესხიშვილის თეატრის დირექტორი
თორნიკე მარჯანიშვილი, ქუთაისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ზურაბ ფხაკაძე, ქუთაისის ახალგაზრდული თეატრის დირექტორი
დავით ჭიშკარიანი, ქუთაისის ნიღბების თეატრის დირექტორი
დიმიტრი იამანიძე, ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირექტორი

ზინაბ ბურჯანაძე, ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი
ლევან როხვაძე, ქუთაისის თეატრის მოღვაწეთა კავშირი, ფესტივალ „ თეატრალური იმერეთის“ ორგანიზატორი

დისკუსიის თარგობებში ხაზგასმული პრობლემები და შესაძლო გამოსავალი :

1. კულტურის მნიშვნელობის შესახებ დაბალი ცნობიერება საზოგადოებაში
2. გაუმართავი ან არარსებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა
3. არ არსებობს განგრძობითობა კულტურის პოლიტიკაში, ხელმძღვანელობის შეცვლასთან ერთად იცვლება კულტურის სფეროს განვითარების ხედვა
4. აღარ არსებობს - ერთი მხრივ, მაყურებელი/მსმენელი (სკოლებში აღარ არსებობს აბონემენტის სისტემა, კარგი იყო პროგრამა „კინო სკოლაში“) და მეორე მხრივ, შემოქმედი (კადრების პრობლემა, სამუსიკო სკოლების პრობლემა: გაუქმდა სამუსიკო ათნლედი-ჯაჭვი სამუსიკო სკოლასა და კონსერვატორიას შორის, აღარავინ უკრავს სასულე საკრავებზე / საჯარაუდო გამოსავალი: კურსდამთავრებულებისთვის სავალდებულო გახდეს რეგიონებში მუშაობა. გარდა ამისა, კულტურის სფეროს მოღვაწეებს სჭირდებათ პროფესიული გადამზადება და ნიჭიერ ახალგაზრდებს - წახალისება და ხელშეწყობა
5. ტელევიზია არ ინტერესდება კულტურით და ხელს უწყობს საზოგადოებაში მდარე გემოვნების განვითარებას
6. რეგიონებში აღარ არსებობს კულტურის კერები
7. საჭიროა მოქმედი ორგანიზაციების ფუნქციების ანალიზი და გამიჯვნა. განათლებისა და კულტურის სამინისტროებს შორის ფუნქციების განაწილების საკითხი სკოლებთან მიმართებაში.
8. არ არსებობს პროფესიული კონტროლის მექანიზმი, ხშირია შემთხვევები პროფესიონალების პოლიტიკური ნიშნით გადარჩევისა.
9. სახელოვნებო სკოლებს ჭირდებათ აკრედიტაციის გავლა ატესტაციების გაცემის უფლების მოსაპოვებლად, მაგრამ არ იციან, თუ სად და როგორ
10. არ არსებობს კულტურის სახელმწიფოებრივი ხედვა
11. საჭიროა სამინისტროს წარმომადგენლებთან რეგულარული შეხვედრები რეგიონებში. განყვეტილია კავშირი კულტურის სამინისტროსა და პერიფერიებს შორის.
12. კულტურის სფეროს თანამშრომლების ანაზღაურება უნდა გაიზარდოს (მაგ: მსახიობები თეატრებიდან მიდიან დაბალი ანაზღაურების გამო. სახელფასო შკალა /ასიმეტრიული ხელფასები „ნაცნობობის“ გამო)
13. რეგიონებს არა აქვთ სამოქმედო გეგმები იმისათვის, რომ განავითარონ ახალგაზრდა თაობების გემოვნება
14. არ ხდება ქვეყნის დონეზე ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაცია (მაგალითად, სამინისტროს შეუძლია სავალდებულო გახადოს აკაკის იუბილეს აღნიშვნა ყველა რეგიონში)

რეგიონში გამოვლენილი პრობლემების ხე

გამოვლინება / ეფექტი

<p>რეგიონში კულტურის სფეროს სტრატეგიული გეგმის არ არსებობა</p>	<p>კულტურის სფეროს მიმართ მოსახლეობაში მოტივაციის დაბალი დონე განათლება/ დასაქმება/ სარგებლობა.</p>	<p>დაფინანსების სისტემის სისუსტე ალტერნატიული დაფინანსების ფონდების არ არსებობა.</p>	<p>კულტურის მოღვაწეთა წახალისების მექანიზმების სისუსტე</p>	<p>ინფორმაციის ნაკლებობა კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე ადგილობრივი/ ცენტრალური/ საერთაშორისო/ მედიის დაბალი ინტერესი კულტურისადმი</p>	<p>ახალგაზრდების მიგრაციის პრობლემა კულტურის კერების ნაკლებობის გამო</p>	<p>შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერის ნაკლებობა</p>
<p>კულტურის პოლიტიკის არასტაბილური განვითარება პოლიტიკურ გარემოებებზე ორიენტირებული გადანაცვლებები</p>	<p>კულტურის პოპულარიზაციის მეთოდების სისუსტე</p>	<p>პროფესიონალიზაციის კრიტიკის ინსტიტუტის სისუსტე</p>	<p>მოძველებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა</p>	<p>შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების მექანიზმების მეთოდოლოგია</p>	<p>პროფესიონალიზაციის სიმწირე არსებულის გადამზადებისა და სერტიფიცირების საჭიროება.</p>	
<p>რეგიონში კულტურის სფეროს პოტენციური შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე</p>						<p>პრობლემა</p>
<p>სუსტი კომუნიკაცია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების/ რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე/ თავად კულტურის სფეროში სექტორებს შორის.</p>	<p>საჯარო სკოლებში შემოქმედებითი განათლების ნაკლებობა შემოქმედებითი ორგანიზაციების აუდიტორიის შემცირება</p>	<p>განათლების დაბალი ხარისხი პროფესიული/ სახელოვნებო/ საშუალო.</p>	<p>ორგანიზაციების ფუნქციური ანალიზის მოძველებული მეთოდოლოგია ადგილობრივი ხელისუფლების სამსახურები/ კულტურის ორგანიზაციები/ მოძველებული ინფორმაციული ბაზა/ კვლევების ნაკლებობა.</p>	<p>სფეროს რეგულირების მოძველებული ნორმატიული აქტები</p>	<p>მიზეზები</p>	

